№ 199 — 1877—1899 — № 199

პარასკევი, 17 სექტემბერი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


თავ. ალექსანდრე ივანეს ძე და კ^ნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასის შვილის, 2-რე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

**მიხეილისა**

14-ამს სექტემბერს, სოფ. ხოვლეში.
დასაფლავება იქნება ხოვლეშივე შაბათს, 18 სექტემბერს.
(2—151—2)

კვირას, 19 სექტემბერს,

**მინაი ივანეს ძის მირზოევის**

გარდაცვალების წლის თავზედ, ვანქის ტაძარში გარდახდილი იქნება განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 11 საათზედ, ხოლო პანაშვიდი ნაშუადღევის 1 საათზედ.
(2—152—1)

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
**გოკიელოვი**

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 20.
(40—140—8)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი —9—10 საათ.

დ. კ. ერისთავი—საღოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

იაგ. ქ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

კ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

ვ. მ. მახვილაძე—ბავშვებისა აღ უგავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგანი და მსაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი 7—7½ საათ.

ტ. ა. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ₰ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ქ. ტფილისში
ექიმი ნიკო თომას ძე
**ერისთავი**

სწამლობს შინაგანისა ₰ ნერვებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 11-დგან 12½ საათამდე, საღამოს 7-დგან 8 საათამდე. მადლის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—145—4)


## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი 19 სექტემბერს „ბელი კლიუჩში“ მიემგზავრება.

*** შემდეგი სხდომა ქალაქის საბჭოსი დანიშნულია 20 აგვისტოსათვის.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორი ი. დ. სმირნოვი, როგორც ისმის, დანიშნულია მოსკოვის მე 3 კადეტთა კორპუსის დირექტორად.

*** ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანახმად, ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშ. აღმასრულებელს გ. ს. კოვალევს შეუდგენია ტფილისში გზის დარაჯთა დაწესებულების შემოღების პროექტი.

*** შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია ნება მიეცეთ დუშეთის მაზრის სოფ. ბოჩას, მლაშეს და საკრაბულას მცხოვრებთ ნაწილ-ნაწილად გარდაიხადონ 5 წლის განმავლობაში 1899 წლის 1-ლ იანვრიდგან ის საკომლო და საერო გარდასახადი, რომელიც გარდაუხდელი დარჩენია მათ 1898 წლის 1-ლ ნოემბრამდე.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ამ დღეებში სოჩში ჩამოვიდა, საიდგანაც 15 სექტემბერს დაღომისსა და უჩდერეში გაემგზავრა. 24 სექტემბერს მინისტრი ბათუმში მოვა, 27-ს ტფილისში ჩამოვა, ხოლო 29-ს ბაქოში გაემგზავრება.

*** რკინის გზების სამმართველომ ყურადღება მიაქცია გზის მოხუცებულ მოსამსახურეთა ბედს და განიზრახა გაუადვილოს ცხოვრება იმათ, რომელთაც სამსახურის დატოვების შემდეგ ცხოვრება არ შეუძლიანთ სხვის დაუხმარებლივ; ამის გამო აღნიშნულმა სამმართველომ გზების უფროსთაგან ცნობები მოითხოვა იმ მოხუცებულ მოსამსახურე

# ფელეტონი

## საზოგადოების დაწუნებულნი, ანუ ცხოვრებაში გამოუდეგარნი წევრნი

ამ უკანასკნელ ხანს ქართულ ჟურნალ-გაზეთების მკითხველები თანდათან უფრო გაფაციცებით აქცევენ ყურადღებას თანამედროვე აზრებს სოციალურ კითხვების შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველი ცნობის მოყვარეობა და მით უმეტეს ისეთი, რომელიც ადამიანის გონებას ავარჯიშებს, მის თვალთა ხედვის ისარს აფართოვებს, სიყურადღებოა და საპატიოდ დასაკმაყოფილებელი, მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ჟურნალ გაზეთებში მრავალ ნაირ თანამედროვე კითხვების შესახებ ან სრულიად ვერ შევხვდებით მსჯელობას, ან ეს მსჯელობა თითო-ოროლა კერძო კაცთა მიერ სუბიექტიურად ვიწრო ფარგალში შეზღუდვით, გადაეცემა მკითხველს: როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც, ახალს აზრს, ახალ მიმართულებას თავის გამზვიადებელი წარმომადგენელი ჰყავს, ბრმა მომხრე, ან სასტიკი მსაჯული; ობიექტიური შეხედულება, ნამდვილი აზრი-კი უმეტეს შემთხვევაში დაფარულია ამა თუ იმ „ტენდენციურ“ გაზეთის მკითხველთათვის. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენი სურვილი გაგვეცნო ჩვენის მკითხველებისათვის საფრანგეთის ცნობილის მწერალის „გუსტავ ლებონის“ ახალის წერილების შინაარსი *).

*) დამთავრებული არა გვქონდა ამ წერილების თარგმნა, როდესაც „მოამბის“ მე-IX №-ში წავიკითხეთ ბ-ნ ფ—ხას შენიშვნა ამ წერილების შესახებ; რადგანაც ბ. ფ—ხა გვპირდება, რომ ამ წერილების შინაარსაც გავაცნობ მკითხველებსაო, ამიტომ ჩვენ არ გვინდა შევეხოთ თავიდგანვე ამ წერილებს, ჩვენი სურვილია მხოლოდ ამ წერილების ერთი ნაწილი გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს, ვიდრე ბ-ნი ფ—ხა დაასრულებდეს თავისს შრომას.

თანამედროვე ცხოვრების ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაო, ამბობს გუსტავ ლებონი, რომ თანდათან ჰმატულობს რიცხვი ისეთის ადამიანებისა, რომლებიც არავითარს საქმეში არ გამოდგებიან, რომლებისთვისაც არ მოიძებნება ამ ქვეყნად შესაფერი ადგილი, ამიტომაც ისინი ვერა ჰპოულობენ ნიადაგს, საშრომელ ასპარეზს ცხოვრებაში, რის გამოც რალაც უვარგისად, „მეტ-ბარგად“ ჰხდებიან. ამ გვარ ადამიანებს ვუწოდებთ ჩვენაო, ამბობს ლებონი, ცხოვრებისაგან „დაწუნებულებს“. ყოველ დროს და ყველგან ყოფილან ასეთი კაცები, მაგრამ რიცხვით ასე არას დროს არსად არ უმრავლია. უილბლო, უვარგისის, გარემოებისაგან დაჩაგრულ ადამიანებით ავსებულია ეხლა ყოველი ხელობა: მწერლობა, მხატვრობა, სამეცნიერო გამოკვლევათა ასპარეზი და სხვ. მათი რიცხვი დღითი-დღე ჰმატულობს. ამ უბადრუკ ადამიანებს აკავშირებს, სულიერად აერთებს ერთმანეთთან მხოლოდ ერთად-ერთი გრძნობა: ზიზღი იმ ცივილიზაციის მიმართ, რომლის გამოც ისინი დაწუნებულნი, განდევნილნი არიან ცხოვრების საბრძოლველ ასპარეზიდგან. ყოველი აჯანყება, ანუ რევოლიუცია, რა აზრითაც უნდა იყოს იგი დაწყებული, უეჭველად პოულობს ამნაირ ადამიანთა შორის თავ-განწირულ თაყვანის მცემლებს. აი, ამნაირ კაცებს შორის ვრცელდება ყოველივე ახალი მოძღვრება, მით უმეტეს ისეთი, რომელიც თანამედროვე წეს-წყობილებას ეწინააღმდეგება. ამგვარი ადამიანების რიცხვი მრავალია ყველგან, მათი არსებობა რომელსამე საზოგადოებაში უფრო საშიშარია, ვიდრე ძველებურ ბარბაროსების შემოსევა. ძველებური მეომრები, მაგალითად, რომის იმპერიის დამპყრობელი ბარბაროსები, მხოლოდ იმიტომ ებრძოდნენ რომაელებს, რომ იმათი წესწყობილება ჰხიბლავდა და ამიტომაც იმათის ქონება სიმდიდრე-კულტურის შეთვისება, შეძენა უნდოდათ. თანამედროვე შინაგანი ბარბაროსები-კი მხოლოდ იმასა ჰფიქრობენ, რა საშუალებით მოსპონ ის ცივილიზაცია, ის კულტურა, რომლის მეოხებითაც ისინი უვარგისნი, დაწუნებულნი შეიქმნენ ცხოვრებაში, მხოლოდ იმასა სცდილობენ, რომ დაანგრიონ, დაარღვიონ უკვე არსებული წეს-წყობილება და აშენება-კი, რისამე შექმნა არც შეუძლიანთ და არც უნდათ. ადვილად ასახსნელია რანაირად და საიდგან ვრცელდება ადამიანების რიცხვი, თუ თანამედროვე და წარსულ ცხოვრების გარემოებათ ერთმანეთს შევუდარებთ. ძველად, მოხელეთა კორპორატიულ წყობილების მეოხებით, რომლის გამოც წინ-და-წინვე გამორკვეული იყო ამა თუ იმ ხელობაში საჭირო მუშათა რიცხვი, მშრომელი კაცი უკეთეს მდგომარეობაში იყო. მეტოქეობა სამუშაოს მოპოებისათვის არ არსებობდა, რადგანაც იმ დროს ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა შესახებ, რომელნიც ამ უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში დაუთხოვნიათ რკინის გზებზედ და რომელთაც სხვის დაუხმარებლად ცხოვრება არ შეუძლიათ. როგორც ისმის, განზრახვა აქვთ ცხოვრება გაუადვილონ ამ კაცებს ყოველ წლივ 30—60 მანეთის მიცემით.

*** კვირას, 19 სექტემბერს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში, ტფილისის სამოსამართლო პალატისა' ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე ბრალმდებელთა და ნაფიც ვექილთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნება სამადლობელი პარაკლისი, ხოლო მის შემდეგ დამსწრეთ წაუკითხავენ მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ამა წლის 1-ლ ივნისის ყოვლად-უმოწყალესს რესკრიპტს, სასჯულო საქმეთა მინისტრის ტ. ს. მურავიევის სახელზედ ბოძებულს, რუსეთში საყოველთაო სამოსამართლო ცვლილებათა შემოღების გამო.

*** პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ გასაგზავნ საგნების მისაღებ ადგილად დანიშნულია ქ. ბათუმი, სადაც უნდა გაგზავნილ იქმნას ეს საგნები 1-ლ დეკემბრამდე საბაჟოს წევრის ბ-ნის ვრობლევსკის სახელზედ.

*** საკასაციო საჩივარი აზნაურის დავით ივანეს-ძის კეზელისა, რომელსაც სასამართლოს-მიერ გარდაწყვეტილი აქვს ყოველის უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ირკუტსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გარდასახლება, როგორც „კავკ.“ იტყობინებენ, უმართებულესს სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია.

*** სატახტო ქალაქის გაზეთებს შეუტყვიათ, რომ გზათა სამინისტროს მიუღია რამდენიმე ახალი პროექტი, რომელიც კავკასიის ქედზედ გასაყვან რკინის გზის გამოკვლევას შეეხება.

*** ტფილისში ჩამოვიდა რკინის გზების სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის რევიზორი ნ. ი. მიხაილოვსკი.

*** კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი დაბრუნდა კახეთიდგან, სადაც აგრონომ სპეშნევთან ერთად დაათვალიერა 9 საცდელი ვენახი, რომლებშიაც საცდელად სწამლობდნენ ვაზს ნაცრისა და ობისაგან. ბ-ნს გეევსკის ამასთანავე ბლეკროტის მგზავს ავადმყოფობით დაზიანებული მტევნები მოუკრებია.

*** როგორც ვუწყით, ქალაქის გამგეობამ ახალი ნიხრი დააწესა ურმით მოტანილ თივის, ჩალის და ბზის აწონად ქალაქის სასწორზედ, სახელდობრ, ფუთზედ $\frac{1}{2}$ კაპ. ამ ნიხრის გამო, გამყიდველებს საქონლის აწონვა ქალაქის სასწორზედ უფრო ძვირად უჯდებათ, ვიდრე ბ-ნის კაცის კერძო სასწორზედ. ამიტომ სავაჭრო სამეურნეო ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა სთხოვა ქალაქის გამგეობას წინადადება მიეცით ბ-ნს კაცს, რომ იმანაც ქალაქის ნიხრი დაადგინოს თავისს სასწორზედაო.

*** ამ დღეებში სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეში ადგილობრივის საფოსტო სადგურის მოსამსახურეს რიაზანის გუბერნიის, კასიმოვის მაზრის მცხოვრებს ვასილ ულიანკინს რევოლვერით მოუკლავს ამ სადგურის მეეტლე გლეხი თედო კასრელაშვილი.

*** სოფ. მარტვილიდგან (ზუგდიდის მაზ.) „ახ. მიმ.“-ს სწერენ, რომ იქ ადგილობრივს ბოქაულს ბ-ნს დგებუაძეს შეუპყრია ყაჩაღი სიგუა, რომელიც დიდხანს თურმე აწუხებდა მცხოვრებთ. სიგუა შეპყრობის დროს სამგან დაუჭრიათ ტყვიით, მაგრამ მკურნალისა და წამლის მიღებაზედ უარი განუცხადებია იმ შიშით, რომ მკურნალი მომწამლავსო.

*** სოფ. გელათი. 1898 წლის ნოემბერში გელათის მონასტერთან დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელშიაც დღეს სამოცზედ მეტი ბავშვი სწავლობს, ამ სკოლის დასაარსებლად დიდი შრომა გასწიეს მღვდელმა მ. სერაფიონმა და ბერ-მონაზონმა ეპიფანემ, რომელთაც სოფელ-სოფელ ჩამოიარეს და სკოლისათვის შეწირულება მოაგროვეს. დიდი ღვაწლი დასდეს სკოლას აგრეთვე მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაფიონმა და მისმა კრებულმა, რომელთაც არ დაიშურეს სკოლისათვის თავიანთი წვლილი. სხვათა შორის, მღვდელ-მონაზონმა მ. მათემ სკოლას თავისის ხარჯით გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და შემდეგისათვისაც აღუთქვა მისი გამოწერა. სკოლის მმართველად დაინიშნა მონასტრის წინამძღვარი არქიმ. სერაფიონი, ხოლო მასწავლებლად-კი ბ-ნი ჭირაქაძე, რომელსაც ჯერ-ჯერობით საკმაო გულ-მოდგინეობა ეტყობა.

*** სოფ. ქემო-გომი. 13 სექტემბერს, ღამით, აქ შემდეგი ამბავი მოხდა: აქაური გლეხი გ. კაციაშვილი თავისის სიდედრით და 3—4 წლის ქალიშვილით სოფელზედ მოშორებით ვენახში ყოფილა, გლეხი საწნახელში ყურძენს სწურავდა, მისი სიდედრი და ქალიშვილი-კი საწნახელზედ მოშორებით ანთებულს ცეცხლთან ისხდნენ. კარგად რომ შეღამებულა, კაციაშვილის სიდედრს ცეცხლზედ ხმელი სარი დაუყრია და, ვიდრე ცეცხლი გაძლიერდებოდა, თითონ წყლის მოსატანად წასულა. ქვენა-ქარის წყალობით ცეცხლი მალე გაძლიერებულა, მისწვდომია ბავშვს ტანისამოსზედ და მიშველებამდის ტანზედ შემოსწვია. ბავშვი რამდენიმე საათის შემდეგ ტანჯვით გარდაიცვალა.

*** ფოთი. მთავრობამ არ შეიწყნარა შუამდგომლობა ქალაქის გამგეობისა იმის შესახებ, რომ ხიდებზედ გასვლისათვის ბაჟი ეხდევინებინათ ქალაქის სასარგებლოდ. ამისთვის დღეიდგან ბაჟი ისპობა.

*** რედაქციამ მიიღო მე-VIII ნომერი ჟურნალ „მოამბისა“: შინაარსი ამ ნომრისა: 1, ნავარდობა, მოთხრობა, (გაგრძელება)—მელანიასი; 2, წარსულიდგან, მოთხრობა—ს. მგალობლიშვილისა; 3, კრაზანა, რომანი, თარგმანი ნატალია გიგაურის მიერ; 4, პოეტი—ლექსი, გ. რუხაძისა; 5, დამონებულნი, რომანი, თარგმანი; 6, ინსტიტუტი სასამართლო დაცვისა და მისი ორგანიზაცია, გაგრძელება, გრ. გველესიანისა; 7, თავ. აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი,—კიტა აბაშიძისა; 8, განცხადებანი.

*** პოლიციის მე-10 ნაწილში, 10 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზედ, ალექსანდრეს ქუჩაზედ, სანიკიძის დუქანში, ოზურგეთის მაზრის აზნაური დავით ყორღანია წაეჩხუბა ქუთაისის გუბერნიის აზნაურს ილია ხუნდაძეს (სანიკიძის ნოქარს), სამგან დასჭრა თავში და გაიქცა დიდუბისაკენ, მაგრამ გზაში შეიპყრეს. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ჭრილობა საშიშოდ იცნეს; დამნაშავე გამომძიებელმა მეტეხის ციხეში დააპატიმრა.

*** 14 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ერევნის მოედანზედ, ქვრივი ქალის ხარაზოვის შენობაში, ქუთაისის გუბერნიის გლეხს თედორე გურჯიძესა და სპარსეთის ქვეშევრდომს მამედ ტაგი-ოღლის ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროს პირველმა ხელი ჰკრა მეორეს და მე-5 სართულიდგან მეზობელ ეზოში გადააგდო; სპარსელს მარჯვენა ფეხი ეღრძო და თავის ქალა დაუშავდა. დაშავებული გაგზავნილ იქმნა მიხეილის სამკურნალოში, ხოლო დამნაშავე შეიპყრეს.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელს, დაუთვალიერებია რა ღამით დუქნები, სამიკიტნოები და ყავახანები და დარწმუნებულა, რომ ამ დუქნების პატრონები ღამეს ათევინებენ ყოველ გვარ ჯურის ხალხს, რომელთაც ძალიან ხშირად არავითარი მოწმობის ქაღალდი არ აქვთ და ამასთან ზოგიერთები გადამდებ სენითაც არიან ავად, წინადადება მიუცია ბოქაულთათვის, იხმარეთ სასტიკი ღონის-ძიებანი, რათა ამის შემდეგ სასმელ-საჭმელების დუქნებში ღამე აღარ გაათევინონ გარეშე კაცებსაო.

ამას გარდა მასვე წინადადება მიუცია ბოქაულთათვის, იხმარეთ სასტიკი ღონისძიებანი, რათა საზოგადო აბანოებში არამც და არამც არავის ნება არა ჰქონდეს სარეცხის რეცხვისაო.

## უბედური შემთხვევა.

დადგა დრო ბავშვების სკოლაში მოყვანისა და გაჭირდა საქმეც: აღარც დილიჟანის ბილეთი იშოვებოდა, რადგანაც ერთის თვით, ხუთის კვირით წინათვე იყო გაყიდული ადგილები; აღარც ეტლი იშოვებოდა და თუ იყო,—მამასისხლად, 27-30 მ. თხოულობდნენ ოთხ სულზედ; არც ფოსტის „ტროიკა“, რადგანაც მგზავრების სიმრავლე ყველას აბრკოლებდა. რასაკვირველია, სასწავლებლებში მისაღები გამოცდა-კი თავისს რიგზედ მიდიოდა, დანიშნულ დროს არ ასცდებოდა. იქ არავინ ჰფიქრობდა კახელების გაჭირვებულს მდგომარეობას. ყველაზედ კარგად ეს შეგნებული ჰქონდათ მშობლებს, რომელნიც სასწავლებლებში შვილების ახლად მიცემას აპირებდნენ. სხვა ღონე რომ არ იყო, ცხენის ურმითაც მიდიოდნენ ტფილისისაკენ. სწორედ ასე მოიქცა, სხვათა შორის, ბ-ნი ესტატე იერემიას ძე ხირსელი. როგორც იყო ჩაიყვანა შვილი ტფილისში, მაგრამ საქმე მარტო ჩაყვანა არ არის, საქმე ისაა, ჩაყვანილმა ბავშვმა გაუწიოს უღელი სხვებსა დააჯობოს კიდეც. როდესაც საბრალო ხირსელმა დაინახა აუარებელი გროვა ბავშვებისა, ჰნახა იმათი მშობლები, რომელნიც თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ სასწავლებლის სხვა და სხვა ოთახში, ჰნახა თვისის თვალით და მოისმინა თვისისავე ყურით მრავალი სხვა, დაუწყო გულმა სამწუხაროდ ღელვა, ეგონა, ეს ზღვა ბავშვებისა და მშობელთა შთანთქავდა მასაც და იმის შვილსაც. დაიწყო გამოცდა 27-სა და გათავდა 28 ს. მიღებულთა რიცხვში მისი შვილიც ამოიკითხეს. აქამდის უსიამოვნების მორევში თავდაყირა დაკიდებული ხირსელი ველარ ახერხებდა სასიამოვნოდ გადმოტრიალებას. როგორც იყო გამოეგნო; დაიჯერა აქამდე მისთვის დაუჯერებელი, შეიტანა პანსიონში ფული და ამან უფრო დააჯერა. მიიყვანა შვილი, დააბინავა. ახლა კი სრულიად დაჯერებული დაბრუნდა, მაგრამ აღევსო ჭურჭელი, ველარ გაუძლო საწყალმა ესოდენს მღელვარებას და ამდენმა ვაი-ვაგლახმა იმ ღამეს ლოგინად ჩააგდო, ხოლო მეორე დღეს პირველ საათზედ სული განუტევა.

შვილს დაჰპირდა მეორე დღეს ნახვას და რომ აღარ მივიდა მამა, ბავშმა, იმდენი იტირა, ვიდრე პანსიონიდგან მხლებლით გაჰგზავნიდნენ სასტუმროში, სადაც უთხრეს, ვისაც ჰკითხულობ, მიიცვალა და საავადმყოფოში წაიღესო. წარმოიდგინეთ ბავშვის მდგომარეობა, გუშინ მამა დაჰპირდა, გნახავო, და დღეს ეუბნებიან, მიიცვალაო. 10 წლის ბავშვმა დაიჟინა, მკვდარი მამა მაჩვენეთო. აჩვენეს და დააბრუნეს სასწავლებლის პანსიონში.

ნადიკვრელი

---

თი წეს რიგი იყო დადგენილი, რომ ყოველს მოხელეს თავისი განსაზღვრული სამუშაო ადგილი ჰქონდა; რაც უნდა მცირედის ძალ-ღონისა და ნიჭის პატრონი ყოფილიყო, მუშა მაინც შესაფერს ადგილს იშოვიდა; კერძო კაცი არ იყო ისე მიტოვებული, უპატრონო, უჭირისუფლო, როგორც ეხლა ის კორპორაცია, წოდება, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, მისთვის ჰზრუნავდა. შეიძლება, შეუმჩნეველი, მცირედი ყოფილიყო მისი როლი, მაგრამ მაინც მუშა-კაცი დაიმედებული იყო, რომ მისთვის რაიმე ადგილი მოიძებნებოდა ამ ქვეყნად. თანამედროვე ეკონომიურ წეს-წყობილების გამეფებისთანავე მეტოქეობა გაჩნდა—ეს მიუცილებელი თანმდევი აწინდელის წარმოება-ვაჭრობისა, და ძირითადადაც შეიცვალა ცხოვრების წეს-რიგი. როგორც სამართლიანად შენიშნა „შეისონმა“: „მას შემდეგ, რაც დაირღვა წინანდელი „საკირავი“, რომელიც ამაგრებდა ძველებურ საზოგადოებათ, პატარა კენჭები, რომლებიც ამაგრებდნენ იმ „საკირავი“-ს, ეხლა თავისებურ, პირად მოქმედების აღმძვრელ ნიჭს (იმპულსს) ემორჩილებიან.

ყოველი კერძო ადამიანი, რომელიც ცხოვრების საბრძოლველ ასპარეზზედ გამოდის და რაიმე უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით, ამაღლდება, აიწევა ზევით, როგორც ბავშვების სათამაშო უჰაერო ბურთი, რომელსაც არაფერი არ ამძიმებს; წინააღმდეგ, ყოველი კაცი, რომელიც მოკლებულია ზნეობრივ და გონებრივ ძალას, ტყვიასავით დაეცემა ზევიდგან მიწაზედ და ვერავითარი ხელოვნური მანქანა ვერ შეაჩერებს იმისს საზარელს დაქვეითებას. ეს არის შედეგი ყოველის ხელის შემშლელ ვითარებისაგან განთავისუფლებულ ინდივიდუალურ ძალ-ღონის გამეფებისა. ამ ჟამად, როდესაც ცხოვრების გარემოებანი კიდევ მეტის-მეტად გამწვავებული არ არის, გონებითა და ზნეობით სუსტი ადამიანნი მოსათმენ, ასატანს მდგომარეობაში იმყოფებიან. თუმცა იმათი რიცხვი თან და თან ჰმატულობს, მაგრამ კიდევ შერჩენიათ რაღაც ადგილი, მათი სილატაკე საშინელია ეხლაც, მაგრამ მომავალში ერთიორად უარესი მდგომარეობა მოელის: ეხლანდელ დროში ყოველს მრეწველობა-ხელოვნებაში ნიჭიერი კაცი თან და თან წინ მიდის, სუსტი, მცირედის გონების პატრონი კი ვერსად ჰპოულობს ნიადაგს. რადგანაც საუკეთესო ადგილები ყველგან ნიჭიერ კაცებსა აქვთ დაჭერილი, მცირედის გონებისა და ძალის პატრონნი იძულებული არიან უბრალო, უმნიშვნელო ადგილებს მიეტანონ და თავისის შრომისათვის ცოტაოდენს ჯამაგირს დასჯერდნენ. რადგანაც უნიჭოთა შორის მეტოქეობა და ჯიბრი უფრო მეტია, ვიდრე ნიჭიერთა შორის, ამიტომ რომ პირველნი რიცხვით უფრო მეტნი არიან, ამას გარდა, ადვილად შესასრულებელი საქმე-ხელობა უფრო მეტს კაცს იზიდავს, ვიდრე რთული და მძიმე სამუშაო საქმე, ამ მიზეზით უვარგისმა, დაწუნებულმა მუშებმა თან და თან უნდა შეამცირონ თავიანთ შრომის ფასი, რომ ამ საშუალებით თავი სადმე შეაფარონ. აი, ამ შრომის შემწეობით თან და თან უფრო იაფდება ნაწარმოებიც; არსდება მრავალნაირი ადვილი, მარტივი სამუშაო საქმე-ხელობა, რომელიც გამოგონილია უვარგისის უნიჭო მუშების ძალ-ღონის მოსახმარებლად. რადგანაც ასეთი შრომა თან და თან უფრო იაფდება, ქარხნების პატრონნი ერთი მეორეს ეჯიბრებიან და უვარგისის მუშების შრომის გაიაფებით ამცირებენ ხარჯს სხვა და სხვა საქონლისას, რომლებსაც მცირე ფასად ასაღებენ მდაბიო ხალხში. ამ გვარად დაწუნებულ მუშათა შრომის ფასი თან და თან ჰკლებულობს და იქამდე იწევს ძირს, რომ იმაზედ მცირე იმათს უუსაჭიროესს მოთხოვნილებასაც ვერ დააკმაყოფილებს.

ისეა ეხლანდელი ვაჭრობის საქმე მოწყობილი, რომ განკარგებაც-კი ძნელია გაჭირვებულ მუშათა მდგომარეობისა: თუ ქარხნის პატრონებმა რამდენისამე კაპეიკით მეტი ფასი დაუნიშნონ მდარე საქონლის გამკეთებელ მუშებს, მაშინ თვით საქონელს უნდა მოუმატონ იმდენივე ფასი და ეს ვაჭრობას შეაფერხებს, მყიდველთა რიცხვს შეამცირებს და მექარხნეებს გააკოტრებს. წარმოვიდგინოთ, რომ ერთის რომელისამე ქვეყნის ქარხნის პატრონებმა შეჰკრეს პირობა მოუმატონ შრომის ფასი ყველა მუშას, მაშინ იმ ქვეყნის ფულიანი კაცები, რომელნიც ამ ხელ-შეკრულობაში მონაწილეობას არ მიიღებენ, მოიგებენ, გამდიდრდებიან და გულ-კეთილები-კი გაკოტრდებიან. ერთად-ერთ საშუალებად მუშათა უფლება-სარგებლობის დაცვისა ამ ჟამად მხოლოდ მუშათა სინდიკატებია, საზოგადოებისაგან ცნობილი. ამ საშუალებით უნდათ დაადგინონ გარდაწყვეტილი, წინ და წინვე გამოანგარიშებული, მუშათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმაო შრომის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში სინდიკატების წევრი-მუშები თავს ანებებენ ქარხნებში მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ზემო ნიქოზი,** (გორის მაზრა). წლეულს ჩვენს სოფელს მოსავლით არა უშავდა-რა, ქერი, პური და სიმინდი უხვათ მოუვიდათ, ასე რომ ზოგიერთმა გლეხმა ცხინვალელ ჩარჩურიებს მიჰყიდა რამდენიმე კოდი შორნახული, კოდი ქერი 1 მ. 20 კ., პური 2 მ. 20 კ., სიმინდი 1 მ. 30 კ. ვენახებსაც კარგად უსხიათ, ასე რომ ზოგიერთნი ღვინოსაც კი ჰყიდიან. წლევანდელმა მოსავალმა ბევრად აჯობა შარშანდელს. ქართლის ხშირი სტუმარი სეტყვა, ჩვენს სოფელს არა სწვევია და აი ამისათვის იყო კარგი მოსავალი.

ამდენი მოსავლის პატრონები ვალებში იხრჩობიან. რად? იმიტომ რომ არა აქვთ მოსაზრება, არა აქვთ ძმობა და ერთობა. სულ ჩხუბსა და კეტების ტრიალში ლევენ სიცოცხლეს. არ გაივლის ისე დღე, რომ ჩხუბი არ მოხდეს ერთ უბრალო საქმის გამო. ამ ბოლო ხანებში გახშირდა ძმებ შორის გაყრა. ხშირად შვილი მოხუც მამას ეყრება და სტოვებს უპატრონოთ. ამით ოჯახიც ცარიელდება და თითონაც ღატაკდებიან.

ზემო ნიქოზს ორი დიდი გასაჭირი ადგია: პირველი შეადგენს უწყლობას და მეორე უტყე-უბალახობას. უწყლობის გამო ჩვენს სოფელში ხშირად ჩნდება ხოლმე სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, ციებ-ცხელების ხომ ბუდეა ზემო ნიქოზი. ს. კეხვის ზემოდგან გამოჰყავთ დიდი ლიახვიდგან ტოტი (ზ. ნიქოზიდგან კეხვამდის $12\frac{1}{2}$ ვერსია). ეს ტოტი მომდინარეობს მრავალს სოფლებში და ჩამოდის რის ვაი ვაგლახით ჩვენს სოფელშიაც. შლერიეა და ჩეჩქით სავსეა ეს წყალი, ან რა დასალევია! კამეჩები და ღორები უყრიათ ხოლმე მწყემსებს გასაგრილებლად. ვაი ჩვენი ბრალი, თუ ლიახვმა ესეც გადაღრამა! მთელი ორი კვირა უწყლობით ვიხოცებით ხოლმე და რის ვაი-ვაგლახით ვეღირსებით შემდეგ ამ ჩეჩქიანს წყალსა. უტყე-უბალახობაც ერთი რამ უბედურებაა: ზამთარში სიცივით ვიხოცებით, რადგანაც შეშა არსაით არ გვაბადია, ზოგიერთი, ვისაც შეძლება აქვს, ს. ავლევის წვრიმალადგან ყიდულობს, გ. ი. იჯარით იღებს ბ-ნ ოთარმასაგან და იოლად მიდის. საქონელიც უბალახობით ძლიერ შეწუხებულია, მინდორში იმდენს საძოვარს პოულობს, რომ შიმშილით არ დაიხოცოს.

კ. ფრონის-პირელი

## რუსეთი

საარქეოლოგო ინსტიტუტის საბჭოს აზრადა აქვს ამ ინსტიტუტში არხეოგრაფიის სწავლებაც შემოიღოს. ამ საქმეს საბჭო 18 სექტემბერს გადასწყვეტს. თუმცა არხეოგრაფია ინსტიტუტის პროგრამმაში წინადვე შეტანილი იყო, მაგრამ ამ საგანს დღემდის არ ასწავლიდნენ. არხეოგრაფიის ლექციების კითხვა მინდობილი ექმნება ან ინსტიტუტის მასწავლებელს ა. პ. ვორონოვს, ან კიდევ ინსტიტუტის წევრს ა. ს. რაევსკის.

— პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება შემწეობა აღმოუჩინოს და ცხოვრების სახსარი უშოვოს იმ ფერშლებს და ბებია-ქალებს, რომელთაც თავიანთის შრომით ცხოვრება აღარ შეეძლებათ.

— როგორც ვუწყით, 23 სექტემბერს ქალაქ რომს მოხდება ორიენტალისტთა კრება. ამ კრებაზედ რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია ჰგზავნის აკადემიკოსებს ვ. ვ. რადლოვს, კ. გ. სალემანს და დ. ა. კლემენცს. ამ უკანასნელს მინდობილი აქვს აგრეთვე დაათვალიეროს ევროპის საყურადღებო საეთნოგრაფიო მუზეები.

— ამ ახლო მომავალს ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტში, ამ დეპარტამენტის დირექტორის ვ. ვ. კოვალევსკის თავმჯდომარეობით, კრება ექმნება განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება მიწად-მოქმედებისა, ფინანსთა, გზათა და ზღვათა სამინისტროების წარმომადგენელთაგან. კომისიას მინდობილი აქვს რკინის გზებითა და გემებით ისეთის საქონლის გადაზიდვის საქმის განხილვა, რომელიც მალე ფუჭდება და რომელსაც კარგი მოვლა-შენახვა უნდა გზაში.

— ახალის სამოქალაქო და სამაზრო სკოლების დასაარსებლად და ძველის მოსაწყობად, როგორც „С. От."-ა იუწყება, ხაზინიდგან 1900 წლისათვის გადადებული იქმნება იმის გარდა, რაც ყოველ წლივ დადებულია, 50,000 მანეთი მეტი. შემდეგ წლებში ამ ფულს კიდევ მიუმატებენ, ასე რომ 1904 წლიდგან ყოველ წლობით ამ სკოლებისათვის გადასდებენ 250,000 მანეთს.

— როგორც „Кур"-ი იუწყება, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა ნება დართოს ქალებს სამწერლო სამსახურისა სატყეო დეპარტამენტსა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობებში.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** უმაღლეს სასამართლოში წაიკითხეს რამდენიმე საბუთის ქაღალდი, რომელნიც ნათლად ამტკიცებენ, რომ რესპუბლიკის წინააღმდეგ მართლაც დიდი მზადება ჰქონიათ ორლეანის ჰერცოგის მომხრეთ. ჰერცოგის მდივანს ბიუფეს შეუტყობინებია ტასტის მამიბლისათვის, რომ საჭირო არის ამა და ამ დროს მოხვიდეთ საფრანგეთშიო, სახელდობრ — ფორის დასაფლავების დღეს, როცა დერულედმა მოიწადინა რევოლიუციის მოხდენა, და შემდეგ გაუფრთხილებია, თუ რა სახიფათო იყო მისი მისვლა, რადგან იმედი არ გაუმართლდათ. როიალისტთა ახალგაზდობის მოთავეს დიუბიუკს მიუწერია ანტისემიტთა ერთის ხელმძღვანელის — გერენისათვის — წერილში: „სახელმწიფო ცვლილებათა მოხდენის იმედს მე უფრო ვამყარებ ჩემსა და ჩემი მეგობრების დამოკიდებულებაზედ, ვიდრე რევოლიუციაზედ, როცა ადვილ შესაძლებელია ჩვენ კიდევაც გამოვაჭულიტოს დანარჩენ დასთა განხეთქილებამაო". იმავე დიუბიუკს ვიღაც ბრიუნესთვის მიუწერია წარსული წლის სექტემბერში: „თვალ-საჩინო ცვლილებათა მოხდენის მოლოდინში ეცადეთ შეკრიბოთ კაცები, რომლებიც, იმ შემთხვევაში, თუ პარიჟში უფლება ჩავიგდეთ ხელში, პრეფექტურაში გამოდგებოდნენ. იმოქმედ მეგობრები მეციხოვნე ჯარის კაცთა შორის. მოამზადეთ ყველაფერი ქუჩებზედ უწესობის მოსახდენად, და ამ აზრით მოახდინეთ პატარ პატარა მანიფესტაციები ჩვენის მეგობრების მისაჩვევათო". შემდეგ დიუბიუკი ლაპარაკობს ბარიკადების შესახებ, ნიშნისა, რომლითაც უნდა დაეწყოთ მოძრაობა და სხ. თითონ ორლეანის ჰერცოგის წერილები მოწმობენ, რომ უამისოდ არაფერი არ კეთდებოდა და ის აქეზებდა ყველას; თავისს მომხრეებს ის ჰგზავნიდა ბიუფესთან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ხელმძღვანელობა გაეწია მოძრაობისათვის.

—

**ინგლისი და ტრანსვაალი.** როგორც ლონდონში, ისე პრეტორიაშიაც ყველანი გულის ფანცქალით მოელიან იმ ჟამს, როცა ამ ორ სახელმწიფოს შორის ან ასე გათავდება საქმე და ან ისე. ერთის სააგენტოს სიტყვით, სწორედ სასწაულთ-მოქმედება იქნება, თუ უომრად ჩაიარა ამ განხეთქილებამ. ამ მოლოდინში-კი ორივე მხრით დიდი მზადებაა. გრძელი დეპეშები პრეტორიიდგან, იოჰანესბურგიდგან და კაპტოუნიდგან მარტო იმას იუწყებიან, თუ როგორ ამზადებენ ჯარებს, ამაგრებენ ადგილებს, არდგენენ საომარს გეგმებს, როგორ დაიპყრეს ბურებმა ლენგ ნეკა, მთის გასასვლელი ყელი, სადაც ერთს დროს ცუდი დღე დააყენეს ინგლისელებს და სხ.

კაპშტადის ახალშენის ქალებს ინგლისის დედოფლისათვის თხოვნა გაუგზავნიათ, რომელზედაც 60 ათას ქალს უწერია ხელი. დედოფალს სთხოვენ მშვიდობიანობის საქმეს ხელი შეუწყოთ და თქვენი ბრწყინვალე მეფობის დასასრულს სისხლის ღვრის ნებას ნურავის მისცემთო.

—

**ჩინეთი.** ხალხის მოძრაობა ჩინეთში ევროპიელებისა და თითონ ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგ თანდათან იზრდება. ამას მიზეზად, სხვათა შორის, იმასაც სთვლიან, რომ ჩინეთის მთავრობა იძულებულია თავის უნებლიეთ მფარველობა გაუწიოს ევროპიელებსო. მოძრაობამ თუ ასე იმატა, როგორც საფუძვლიანად ჰფიქრობენ ზოგნი, ევროპის სახელმწიფოთ შემთხვევა მიეცემათ ჩინეთის შინაურს საქმეებში ჩარეონ, და მერმედ, რაღა თქმა უნდა, ჩინეთის მთავრობა ხომ ვერ გაინთავისუფლებს თავს იმათ მზრუნველობისაგან, რასაც, ცხადია, ჩინეთის სრული დამონავება მოჰყვება.

არავის არ შეუძლიან უარ ჰყოსო, — ამბობენ გაზეთები, — რომ შანტუნგის უწესოებს უბრალო მოძრაობა არ არისო. როგორც ჰფიქრობენ, ჩინეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ამ უწესოებას როგორმე ბოლო მოუღოს, რადგან ეს პირდაპირ მისს არსებითს ინტერესს შეადგენს.

ამას წინად ტანგის ოლქში იმპერატორის ჯარებს თავს დაესხა ავაზაკთა აუარებელი ბრბო. ბრძოლის დროს ავაზაკებმა მოჰკლეს ჯარის უფროსი, ვიღაც ერთი გენერალი. გუბერნატორი ლიუ ჯარით უკან დაედევნა ბრბოს, მაგრამ ვერ დაეწია, ასე რომ დამნაშავენი დაუსჯელნი დარჩნენ. ჰფიქრობენ, რომ ეს თავდასხმა მოახერხა იდუმალმა რევოლიუციონურმა საზოგადოებამ — „წითელ ჯვრის ძმობამ", რომელსაც მარტო შანტუნგის ოლქში 100 ათას წევრამდე ჰყავსო.

—

**გერმანია.** ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანია ტრანსვაალს პირობით შეეკრა, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელმა რამდენიმე უპირატესობა უნდა მიანიჭოს გერმანიის ვაჭრებს და სამაგიეროდ გერმანიამ უნდა უშველოს ტრანსვაალს თავისი მიწა-წყლის დასაცველად სამზადისში, ციხე-სიმაგრეების აგებაში და რამდენიმე კორპუსის შედგენაში, რომელნიც გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით უნდა გაიწვრთნანო. ასეთი კავშირი გერმანიისა, სხვათა შორის, იმასაც გამოუწვევია, რომ, თუ ომი ასტყდა, ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს როგორც დელაგოას ნავთ-სადგურის შესახებ, ისე თავისი საკუთარი ახალშენებისა აფრიკაში. როგორც ამბობენ, გერმანიის ელჩს ვითომც სიტყვიერად ეცნობებინოს ამ კავშირის შესახებ ინგლისის მთავრობისათვის და ამ სიტყვებს ისეთი შეგავლენა მოეხდინოს, რომ ინგლისის საქციელში ტრანსვაალის შესახებ მაშინვე ცვლილება მომხდარიყოს.

### სასამართლოს მატიანე

ბავშვის მოწამვლა.

15 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფი-

---

შაობას და ამით ზარალში შეჰყავთ კაპიტალისტები; მაგრამ ასეთი ღონისძიება უარეს გაჭირვებაში აყენებს ხშირად მუშებს. ისეთი ქარხნების პატრონები, სადაც რთული და ხელოვნური შრომა არის საჭირო, რა თქმა უნდა, იძულებულნი არიან უმეტესად დამორჩილდნენ თავიანთ მუშების მოთხოვნილებას და ხშირად „ბრძანებასაც", მაგრამ ისეთ წარმოებაში, სადაც ხელოვნება, ან დიდი ცოდნა საჭირო არ არის (ასეთი წარმოება-კი ძლიერ ბევრია ეხლანდელ დროში); სადაც სამუშაოს ასრულების მსურველი უთვალავია, ქარხნის პატრონები არაფერს არ დაუთმობენ მუშებს. აი, ავიღოთ ერთი, მაგალითი: პარიჟის დურგლებმა აღსთქვეს და აღკვეთეს წინანდელ ფასად მუშაობა კაპიტალისტების სამუშაო სახლებში.

რადგანაც კაპიტალისტებს ხელს არ აძლევდა მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, დაითხოვეს უმრავლესი ნაწილი თავიანთ მუშებისა და დაიტოვეს მხოლოდ ნიჭიერი, მარჯვე მოხელეები; უადგილოდ დარჩენილი მუშები იძულებულნი შეიქმნენ თავისს სახლში ემუშავათ და თავიანთ ნახელავნარი ისევ იმ ძველ ქარხნების პატრონებისათვის მიეყიდათ, რადგანაც სხვა მყიდველები არა ჰყავდათ, თანაც ამ გვარ გარემოებაში ძველი პატრონები მეტს შრომასა, მეცადინეობასა და ხელოვნებას თხოულობდნენ გასტუმრებულ მუშებისაგან. საფრანგეთში დურგლების სამუშაო სახლების დახურვამ მეტოქეობა გამოიწვია ამავე ხელობის მიმდევართა შორის საზღვარ-გარეთელ ფულიან კაცებისა: სადურგლო ნაწარმოების ფასმა დაიწია ერთი-ორად, რის გამოც ის მუშა, რომელიც უწინ დღეში სამუშაო ქირად — 7—8 ფრანკს ($2\frac{1}{2}$ მან. ან 3 მან.) იღებდა თავისს სახლში მუშაობით, დღეში 3—4 ფრანკს ძლივს ჰშოულობდა. ამ გარემოებით კაპიტალისტებმა ისწავლეს მუშათა სინდიკატებთან საბრძოლველი საშუალება, მყიდველებმაც მოიგეს, რადგანაც საქონელი გაიაფდა, წაგებული დარჩა მხოლოდ მუშა; ასეთ გამოცდილების შემდეგ მუშებიც დარწმუნდნენ, რომ თანამედროვე ეკონომიური წეს-წყობილების მოთხოვნილებას ვერც სინდიკატების დაარსება შესცვლის და ვერც სხვა რაიმე კანონმდებლობა, განკარგულება.

ერთის სიტყვით, მუშათა შორის დამყარებულ და გამწვავებულ კონკურენციის მეოხებით თან-და-თან ყველგან ჰმატულობს უადგილო, უსახსრო ადამიანთა რიცხვი; რა თქმა უნდა, ნიჭიერი კაცი სტოვებს უადგილოდ სუსტის გონების პატრონს; ამით მრავლდება და ვრცელდება ყველგან დაწუნებულთა ბრბო. 1895 წლის სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ მარტო პრუსიაში უადგილო, უსაქმო ადამიანთა რიცხვი იყო 554,000. ბუნებრივის ჰკუა-გონებით ღატაკს ბრბოს ეხლანდელ დროში ამრავლებს ხელოვნურ საშუალებანის გამო გონებით დაჩლუნგებული და დამახინჯებული შთამომავლობა. ასეთ გონებითა და ნიჭით დაჩლუნგებულთა რიცხვს ამრავლებს თანამედროვე საშუალო სასწავლებელნი და ხშირად უნივერსიტეტებიც. უადგილო, გამოუსადეგარი, ვითომ და ნასწავლი ახალგაზდა საშიშარ ძალას წარმოადგენს: თანამედროვე სკოლა მხოლოდ მოხელე-ბიუროკრატად ჰზრდის ამ ახალგაზდებს: არავითარ საქმისათვის არ ამზადებს ეხლანდელი სასწავლებლები ახალთაობას, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის გარდა. რით უნდა იცხოვრონ ამ საბრალო ადამიანებმა, თუ არა უმნიშვნელო შრომა-სამსახურით სხვა-და სხვა დაწესებულებაში? როგორ არ უნდა აივსოს ამ ახალგაზდების გული ზიზღითა და სიძულილით, როდესაც ჰხედავენ, რომ მათი დანიშნულება, ხვედრი მხოლოდ უმნიშვნელო მაწანწალობაა. თითქმის ყოველის ხალხის ბუნებრივი თვისება სრულიად წინააღმდეგობაა თანამედროვე დემოკრატულ დედააზრისა; ფიზიკური შრომა, „შავი" მუშაობა ყველას სძაგს, ეზარება; უბრალო, უმნიშვნელო, უგუნური გადამწერლობა, ბიუროკრატიული საქმე ურჩევნია რაიმე ხელობას, მაგალითად, ხუროობას, დურგლობას, მეიჯარადრობას, რომელთა შრომა უფრო თავისუფალი და თავისებურია; ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ფიზიკური შრომა, გარჯა ყველას ეზიზღება; ამიტომაც თვით ის მუშა, გლეხი, რომელიც ვითომ წინააღმდეგია ბურჟუასი, თავისის შვილისათვის ბურჟუას მდგომარეობას ჰნატრულობს, ე. ი. ცოტა საქმეს და მრავალს სიამოვნებას; ამის მოსაპოვებლად იგი არა ჰზოგავს ფულს, თავისს შვილს იმ სასწავლებელში აბარებს, საიდგანაც მხოლოდ „უსაქმურობის" მოწმობით გამოისტუმრებენ. მარტო ასეთის სწავლით ვერ შეჰქმნის მუშა-გლეხი თავისს შვილს ბურჟუად, რადგანაც თანამედროვე ბურჟუას უმთავრესი თვისება ფულია და მისი შვილი ცხოვრებისათვის უვარგის-გამოუსადეგარ კაცად ხდება.

ნიკო თავდგირიძე

(დასასრული იქმნება)

ლისის მცხოვრებ თაქუა ელიაზაროვის ქალისა, რომელსაც განზრახ 6 წლის ბავშვის მოწამლვა ჰბრალდებოდა მის მშობელთათვის შურის საძიებლად. ამ საქმის გარემოება მოკლედ შემდეგია: 1898 წლის 17 ნოემბერს ავაქ მელქუმოვმა ტფილისის პოლიციას განუცხადა, 6 წლის ბავშვი მომიკვდაო; ჩემის ფიქრით, ბავშვი საწამლავისაგან გარდაიცვალა, ხოლო მომწამვლელი თაქუა ელიაზაროვი უნდა იყოსო, რომელთანაც წინად უსიამოვნება მქონდაო. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მოწამვლის დღეს ბავშვი წასულა თავისის ბიძის გეურქ მელქუმოვისას, იქვე მისულა ელიაზაროვის ქალი და უთქვამს, შინ წამოდიო, შენი სტუმრად წასული მშობლები უკვე დაბრუნდნენ შინაო. შემდეგ ბავშვს ხალვა აჭამა თურმე, რის გამო ბავშვი ცუდად გახდა და რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებიდგან სჩანს, რომელნიც ბავშვის გარდაცვალებას დასწრებოდნენ, რომ ბავშვს სიკვდილის დროს უთქვამს, მაშინვე ცუდად გავხდი, თაქუას მოცემული ხალვა შევჭამე თუ არაო. მკურნალის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ბავშვი დარიშხანით იყო მოწამლული, მაგრამ რადგან ბავშვის მამა ავაქ მელქუმოვი, როგორც ვერცხლის მჭედელი, მუშაობის დროს დარიშხანას ჰხმარობდა, აქედგან ის ექვი ალიძრა, რომ ბავშვს ადვილად შეეძლო მამის სახელოსნოში მოწამლულიყოო. მაგრამ ეს ექვი ერთმა მოწმემ განფანტა, რომელმაც განაცხადა, დარიშხანა მუშაობის გათავების შემდეგ ყოველთვის ისპობოდა სახელოსნოშიო.

სასამართლოში თაქუა ელიაზაროვისამ უარ-ჰყო, მე არ მომიწამლავს ბავშვიო.

ტფილისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნო თაქუა ელიაზაროვი და 10 წლის კატორგა გარდაუწყვიტა.

## დამაკვირდი

ცუნდრუკა კაცი ცარიელს ქვევრს შეგადარე: ესეც მასავით, რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს.

ლასურიძე

* * *

ცრემლი, რომელიც სიყვარულს აქრობს, მეგობრობას ანთებს.

კარმენ სილვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, სეტყვას რა დიდი ზარალი მოაქვს მხვნელ-მთესველისთვის. კარგა ხანია ევროპაში ამას ყურადღება მიაქციეს და სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლას შეუდგნენ. როგორც ერთი ფრანგული ჟურნალი იუწყება, ამ საქმეს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ იტალიაში—ვენეციისა და პიემონტის პროვინციებში, და ავსტრიაში—ტრიესტის პროვინციაში. ტრიესტის პროვინციის ქალაქ კონელიანოში სოფლის მეურნეთა საზოგადოებაც-კი დაარსდა, რომელსაც აზრად სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლა აქვს. ასეთივე საზოგადოებანი არსდება ეხლა, როგორც იუწყებიან, ვენეციის პროვინციის ქალაქებს არგინიანოსა და ბარბარანოში. უმთავრეს საბრძოლველ იარაღად სეტყვის წინააღმდეგ ხმარობენ განსაკუთრებულ ზარბაზნებს. ეს ზარბაზნები ჩვეულებრივ სამხარ ზარბაზნებისაგან ბევრით არაფრით განირჩევა, მხოლოდ გრძელი მილი აქვს მომატებული ბოლოში. ზარბაზნის გასატენად საკმაოა 100 გრამმი თოფის წამალი. ამ ზარბაზნებს სდგამენ მაღლობ ადგილზედ, ისვრიან მაშინ, როდესაც საჭიროა, ესე იგი, როდესაც დაატყობენ, რომ სეტყვა უნდა მოვიდეს. გასროლის დროს გახურებული გაზები, დამწვარ წამლის ნაყოფი, საატმოსფერო ტოკად იქცევა ხოლმე. ეს ტოკი საოცარის სისწრაფით მიდის ზევით, ხან $2^1/_2$ კილომეტრის სიმაღლეზედ, და რადგანაც იგი ცხელია, ჰაერს ათბობს და სეტყვის მაგიერ წვიმას აჩენს. ამბობენ, რომ ბევრგან საოცარი ნაყოფი მოიტანა ამგვარმა ბრძოლამ სეტყვის წინააღმდეგ. როგორც ჟურნალი „Coltivatore“ იუწყება, შტირიასა და კრაინაში, მაგალითად, სადაც წინად სეტყვას დიდი ზარალი მოჰქონდა, ეს სამი წელიწადია შეუდგნენ ზარბაზნების ხმარებას და ამ ხნის განმავლობაში აღარც ერთხელ აღარ მოსულა სეტყვა. ამ რიგად ზარბაზნები მარტო ომში არ არის გამოსადეგი, მათ უომოდაც დიდი სარგებლობა შეუძლიანთ მოუტანონ კაცობრიობას. როგორც ამბობენ, სეტყვის გარდა ზარბაზნით დიდის ქარების, ესრედ წოდებულ ურაგანებისა და ციკლონესის წინააღმდეგაც შეიძლება ბრძოლა. თუ ესეც გამართლდა, მაშინ ხალხის ამოსაჟლეტად მოგონილი ზარბაზანი ხალხის სასიკეთოდვე იქმნება გამოყენებული.

* * *

ჩრდილოეთ იტალიაში არის ერთი ისტორიული ტბა,—ტრაზიმენის ტბა, რომლის ნაპირებზედაც 217 წელს ქრისტეს წინად დიდად ცნობილმა მეომარმა ჰანიბალმა დაამარცხა ძლიერის რომის იმპერატორის ჯარი. ეს ტბა ძალიან მაღალ ადგილზედ მდებარეობს და კარგა მოზრდილია, ირგვლივ 43 კილომეტრი ექმნება. როგორც გაზეთები იუწყებიან, აი სწორედ ამ ისტორიულის ტბის დაშრობა მოუწადინიათ იტალიელებს. მიზეზი ამისა ისა ყოფილა, რომ ტბამ დრო-გამოშვებით ხშირის წვიმების დროს საშინელი ადიდება იცის; ყოველ წელიწადს ტბიდგან გადმოვარდნილი წყალი რამდენსამე მილიონს ზარალს აყენებს გარეშემო მდებარე სოფლების მცხოვრებთ. პატარა ტბა ადიდების დროს უშველებელ ზღვად გარდაიქცევა ხოლმე. მცხოვრებთ კარგა ხანია ამ ტბის დაშრობა მოიწადინეს. ჯერ ისევ 1875 წელსა ჰქონდათ ამის შესახებ ლაპარაკი. 1877 წელს დაარსდა საზოგადოება, რომელიც 1883 წელს შეუდგა მუშაობას, ხოლო ამა 1899 წელს უკვე დაასრულა არხის თხრა. დაჯდა ეს საქმე სულ 6 მილიონ მანეთად. გაყვანილი არხი 9 მეტრის სიგანისაა, წყალი ამ არხით პატარა მდინარე კაინოში ჩადის, რომელიც ტიბრს უერთდება. ამ დაშრობას ორგვარი სარგებლობა მოჰყვება, ჯერ ერთი იმ ზარალს აიცილებენ თივიდგან, რაც ტბის ადიდებას მოსდევდა ხოლმე და მეორე—ახალ სახნავ მიწას გაიჩენენ, რომელიც წინად წყლით იყო დაფარული.

## წერილები გრ. ორბელიანისა.

19 ივლისსა 1854.

№ 11. „ძმაო სვიმონ! ეს არის ეხლა მივიღე შენი და ლევანის ქაღალდები, რომლითაც მაცნობებთ, რომ შამილ თავის ჯარებით მთას გადავიდა დიდოში და თქვენს მხარეს მტერი აღარსად არის. ამ ამბავზედ მე აქ კუმუხში შევდექ და ღენერალ მანჲუკინის პეროდოვოი კალონა გზაზედ შედგება ვგონებ რუთულის სიახლოვეს იყოს და სადაც ჩემი ბძანება მიასწრობს იქ დადგება, ვიდრე თქვენიდან გადაწყვეტილი ამბავი მომივა დაშალა ჯარები თუ არა შამილმა ან საით აპირებს წასვლას?

ახლა ყველა დაწვრილებით გეცოდინება კახეთის ამბავი, გთხოვ მაცნობო ან თავადიშვილების სახლობა ვისი შეიქნა მტრის გულისათ, ან რომელს სოფელს რა ზარალი მიეცა.

შენი გრიგოლ ორბელიანი“.

—

„აქამდის რამთენიმე ჩემი წიგნი მოგივიდოდა, რომლითაც შემოგეხვეწე მანდაურს ამბავს და კიდევ გთხოვ მალე მოიწერო ყველა. ნურას დაგვიმალავ გეთაყვანე. შენი დიმიტრი“ *).

17 ივლისს. კუმუხიდამ.

## გამოსადეგი ცნობა

—

თუ კაბაზედ ან ტანსაცმელზედ მცენარის ზეთი რამ დაისხათ, აიღეთ კარტოფილის ფქვილის ცომი და ლაქასა სცხეთ სქლად ორივ მხარეს, როდესაც ცომი კარგად გაშრება, დანის წვერით ჩამოფხიკეთ და ლაქასაც აიტანს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 სექტემბერი

**პარიჟი.** „Matin“-ი იუწყება, რომ გალიფე სულაც არა ჰფიქრობს დაუბრუნოს გენერლებს ბუადერფს და ნეგრიეს წინანდელი თანამდებობანი.

**პარიჟი.** რუსეთის რწმუნებული ნარიშკინი და გენერალ-ადიუტანტი ფრიდერიქსი დაესწრნენ დღეს მთავარ შტაბის უფროსის გენერალის ბროს დასაფლავებას.

**ვენა.** როგორც „Neue Freie Presse“ იუწყება, ბოლგარიის მთავარს ფერდინანდს ებოძა ორდენი წმ. სტეფანისა.

**პეტერბურგი.** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებში გამყიდველნი იძლევიან 99 მან., იმავე ბანკის $4^1/_2$% —95 მ.; ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის 6%—100 მან.; იმავე ბანკის 5%—100 მან. გაიყიდა.

16 სექტემბერი

**პარიჟი.** სამედიატორო სასამართლო, რომელსაც მინდობილი აქვს ინგლის-ვენეცუელას საქმის გარდაწყვეტა, მუშაობას ამთავრებს. დღეს მედიატორენი განაჩენს დაადგენენ.

**პარიჟი.** ბერანჟემ გარდასცა ბრალდებულთა ვექილებს გამოძიების საბუთის ქაღალდები, რომელიც ოთხ ნაწილად განიყოფება: პირველი ნაწილი შეეხება დერულედს, პატრიოტთა ლიგას და ნაციონალისტებს, მეორე—როიალისტებს, მესამე—ანტისემიტებს და მეოთხე—სხვაგან მყოფთ. ჰფიქრობენ, ჩვენების ჩამორთმევა შაბათს დაიწყებაო.

**კარაკასი.** ბოროტ გამზრახველთ გარეშე საქმეთა სამინისტროს აფეთქება სცადეს.

**ბუდაპეშტი.** ათასმა სოციალ-დემოკრატმა გუშინ, საღამოს, კრება მოახდინეს საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ მოსალაპარაკებლად. როცა ხალხმა საშიში სახე მიიღო, პოლიცია ჩაერია და შეიპყრო ასამდე კაცი.

**ვენა.** ბოლგარიის მთავარი საღამოს ვარნაში გაემგზავრა.

*) დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, შემდეგ ტაინი სოვეტნიკი. ეს წერილი იმ დროსია, როდესაც შამილი დიდის საიდუმლოებით ჰხვდის ჯარს კახეთში და ატყვევებს წინანდალში დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„კვალის“ მე-31 №-ში ვკითხულობთ: „ნამდვილი წყაროდან შევიტყვეთ, რომ ქ. ოზურგეთის მოურავი, ახალგაზდა დემოკრატი(!!), თ. ნიკო თავდგირიძე მეცადინეობს, სადაც ჯერ არს, ასწიოს ამომრჩეველთა ცენზი... ამ დემოკრატს (sic) უნდა ცენზი აიყვანოს ასი მანეთიდამ 300-მდე, რათა ბევრი ხალხი არ იკრიბებოდეს არჩევანებზე“. ბ-ნი თავდგირიძე („ივ.“ № 174) აღშფოთებით უარჰყოფს „კვალის“ მიერ ასე კატეგორიულად წამოყენებულს ბრალდებას და უწოდებს მას ჩვეულებრივს ამ გაზეთში ჭორს, ცილის წამებას. „მე არა თუ არ მიცდია, არც აზრად მომსვლია უფლების შემცირებაო“,—გადაჭრით აცხადებს ის. „რამდენად მართალია თ. თავდგირიძის ასეთი რიხით წამოსროლილი სიტყვები“,—პასუხს აძლევს, თავის მხრივ, „კვალი“ № 34 „ქუთათური კორესპონდენტის“ პირით,—„ამის შესახებ ჩვენ შევეკითხებით ბ. ბ. ვლადიმერ და ნიკიფორე კანდელაკთ, ამათ დაგვიმოწმონ თავისი სვინიდისისა და პატიოსნების მიხედვით და ჩვენც დავემორჩილებით“.

არ ვიცი, რომელი „სვინიდისისა და პატიოსნების მიხედვით“ ბ. „ქუთათური კორესპონდენტი“ ბაასობს კაცთან, ლანძღავს კიდევაც მას, შეიძლება, ცილსაც სწამებდეს,—და იმავე დროს პირ-ბადით იმყოფება. „განა „კეთილშობილურია“,—შევეკითხებით ჩვენ მას ბ. გ. წვრეთლის სიტყვებით („კვალი“, № 5—99 წ.),—„ისეთი ქცევა ლიტერატურაში, რომ მობაასე ჩირგვში იმალებოდეს და იქიდამ ილანძღებოდეს?“ „პასუხად თ. ნ. თავდგირიძეს“ ხომ წერილია, და „ჩვენში კი ასეა“,—როგორც ჭეშმარიტად ამბობს ბ. ნ. ჟორდანია („კვალი“, № 8—99 წ.), „რომ, როცა ვისმეს წერილს მისწერენ, თავისს სახელს და გვარს მოაწერენ ბოლოში“. ჩვენი პროკურორი კი ჯურღმულში ჩამძვრალა და იქიდამ აძლევს ბ-ნ თავდგირიძეს საზოგადოების წინაშე პასუხის გებაში. ამიტომაც იმისი ბრალდება, მიუხედავად იმისა, მართალია არსებითად, თუ ყოველივე ჭეშმარიტებას მოკლებული, „გახლავს უსახელო წერილი, ანონიმური ლანძღვა-გინება, და ასეთებს-კი ყოველი პატიოსანი კაცი უპასუხოდ სტოვებს“, („კვალი“, № 8—99 წ.). როგორც ხედავთ ეგ დოვლათიანი „კორესპონდენტი“ ისე გაუტაცნია ბ-ნ თავდგირიძის, ამ „ფეოდალიზმის ერთ-ერთ იდეოლოგთაგანის“,—დაწიხლვის და დაქოლვის სურვილს, რომ, წარმოიდგინეთ, ღალატობს და არცხვენს თავისი ლიტერატურულ მოღვაწეობის მოედანს და მის მეთვალყურეთ! მაგრამ მწერლობითი ეთიკის დარღვევას და შებღალვას თქვენი ჭირი წაუღიათ,—უჩინ-მაჩინის ქუდით პიროვნების ცუდად შეხება, ე. ი. ზურგს უკან კაცის გინება, და ამავე დროს სხვისი სვინიდისისა და პატიოსნების ამოფარება და იმათი პასუხის გებაში მიცემა რაღასა ჰგავს? ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ამ „სვინიდისითა და პატიოსნებით“ სავსე კორესპონდენტის პსიხოლოგიური პროცესი თავისი „პასუხის“ წერის დროს: „მე ჩემი მითქვამს და, თუ ვინიცობაა მტყუანი გამოვედი და პასუხის საგებად შემექნა საქმე, მე ვინ რას დამაკლებს, სხვა-კი თუნდაც დაუხრჩვიათ, მე რა მენაღვლება ან და რას დავეძებ“. რედაქციის, რომელიც ამ ინციდენტის დროს ბ-ნ ი. კაკაბაძის გამგეობის ქვეშ იყო, ამ შემთხვევაში პასუხის მგებლად ჩათვლა სასაცილოა; თვით „ქუთათურმა კორესპონდენტმა“ (რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ და მით უფრო გვიკვირს მისი ასეთი საქციელი) უკეთ უწყის, თუ რა მოეთხოვება რაღაც ახირებულ შემთხვევით გარედაქტორებულს ბ-ნ კაკაბაძეს, რომელმაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო იმითი დაამტკიცა თავისი რედაქტორული სიბრძნე, გამოცდილება და წინდახედულობა, რომ დროებით მის საპატრონო ორგანოში მოათავსა ბ. „მანუჩარის“ პოლიციელ პროტოკოლის მსგავსი კორესპოდენცია. აბა ვის რათ უნდოდა ბ. კაკაბაძის პასუხის გება, „მანუჩარის“ შეუგნებელ დაბეზღებას რომ მოსალოდნელი მარცხი მოეხდინა?

აი ბ. „ქუთათური კორესპოდენტის“ ამგვარი სინდისიერი და პატიოსანი საქციელის გამო, რომლის სახელის წოდება თვით იმისთვის მიგვინდია, ჩვენ ვერ ვპოვეთ შესაძლისად და ჩვენდა საკადრისათ ვუმოწმოთ მას და ვსთქვათ ის, რაც ამ საქმეზედ ვიცით. თორემ ჩვენ პასუხის გების არ გვეშინიან, და მზათაცა ვართ ყოველს ჟამს ეს პასუხი ვაგოთ სინიდისის სამსჯავროს წინაშე, რომელიც, ჩემის აზრით, საუკეთესო იქმნება მთელ ამ ინცინდენტის გამოსარკვევად.

ვლადიმერ კანდელაკი

## განცხადებანი


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

(100—150—2)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—27) ნ. წერეთელი

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ფასი 50 კაპ.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.